ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

შაბათი, 12 ივნისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია ველიამინოვის ქუჩაზე, № 12 მესამე სართულში, თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 9 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 9

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135, სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

---

თბილისში მცხოვრები პარტიის ყველა წევრები ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში ჩაეწერონ რაიონებში. პროვინციებიდან ჩამოსულ პარტიის წევრებს წინადადება ეძლევათ ჩაეწერონ თბილისის კომიტეტში.

---

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

---

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

---

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდის და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

## ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო.

21 ივნისს შესრულდება 15 წელიწადი, რაც გარდაიცვალა დაუვიწყარი ალექსანდრე (საშა) წულუკიძე. ამ დღისთვის განზრახულია განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემათ გამოიცეს განსაკუთრებული შინაარსის ნომერი, სადაც მოთავსებული იქნება ალ. წულუკიძის დამახასიათებელი წერილები და სტატიები, მოგონებანი მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების შესახებ და სხ. და სხ. გთხოვთ ყველა ამხანაგებს დაჩქარებით მოგვაწოდონ შესაფერი მასალები და განსაკუთრებით კი განსვენებულის ყოველგვარი წერილები.

## ჩვენი ტაქტიკა.

ინტერნაციონალური პარტია, როგორიც არის კომუნისტური პარტია, უეჭველათ უწევს ანგარიშს საერთაშორისო მდგომარეობას, საერთაშორისო მასშტაბით წარმოებულ ცხოვრების მიმდინარეობას. ეს მისთვის სავალდებულოა. ამ მდგომარეობის შეფასება საფუძვლათ ედება პარტიის ტაქტიკას, მისი მოქმედების საერთო სახელმძღვანელო დებულებებს.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ტაქტიკის მთელი შინაარსი. მისი კონკრეტიზაცია აუცილებლათ გულისხმობს ადგილობრივ პირობებთან შეგუებას, მათ შესწავლას, მათ ფარგლებში ცხოვრების მიმდინარეობის გათვალისწინებას.

ამ მხრით ჩვენი მდგომარეობა მეტათ უჩვეულოა და მისი გარკვევა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ჩვენ ჯერ კიდევ გუშინ რუსეთის კომუნისტური პარტიის განუყრელი ნაწილი ვიყავით, დღეს კი საქართველოს კომუნისტურ პარტიათ გადავიქეცით. ეს ფაქტი ლოღიკურათ არ გამომდინარეობს მთელი ჩვენი წინანდელი მოქმედებიდან, რადგან ჩვენში არავითარ გათიშვის ტენდენციებს არასოდეს არ ქონია ადგილი. ეს ფაქტი ჩვენ მოგვევლინა როგორც ერთი შედეგი საერთაშორისო ძალთა ახალი ურთიერთობისა, რომლის დამყარებაში ერთ აქტიურ ძალათ საბჭოთა რუსეთი გამოდიოდა.

ამ ფაქტს ჩვენ სავსებით უნდა გავუწიოთ ანგარიში. პირველ ყოვლისა იგი განსაზღვრავს ჩვენი პარტიის მოქმედების ტერიტორიალურ ფარგლებს და სწორეთ ამ ტერიტორიის საერთაშორისო მდგომარეობა უნდა შეიქნეს ჩვენი ყურადღების საგანი.

საქართველო სახელმწიფოებრივ ერთეულათ არის ალიარებული. რამდენათ უფრო ჩქარა მის საზღვრებიდან საბოლოვოთ განიდევნება საერთაშორისო იმპერიალიზმის გავლენა და მოქმედება, იმდენათ უფრო განმტკიცდება და გამაგრდება ის რევოლიუციონური პროცესი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით სწარმოებს. სრულიათ ბუნებრივია, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ ალიარებული საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენს პარტიაში პოვებს მედგარ დამცველს იმპერიალისტთა თავდასხმის წინააღმდეგ. აქ სადავო არაფერია, რადგან იგი სავსებით ეთანხმება მთელ ჩვენს წინანდელ მოქმედებას, მაგრამ ეს არ კმარა. მთელი საზავო ხელშეკრულებაც, რამდენათაც იგი საქართველოს აყალიბებს საერთაშორისო სფეროში, როგორც სახელმწიფოებრივ სხეულს და ქმნის მის ნამდვილ დამოუკიდებლობას, უეჭველათ სავალდებულოა ჩვენთვის. აქედან ცხადია, რომ ჩვენ წინააღმდეგი უნდა ვიქნეთ ყოველივე იმის, რაც ასუსტებს საქართველოს საერთაშორისო, თუმცა პატარა, მაგრამ მაინც საყურადღებო ძალას; ჩვენ წინააღმდეგი უნდა ვიქნეთ საქართველოს საზარალოთ მომართულ ფრონტებისა და უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს მათი ლიკვიდაცია. ეს უკვე ახალი პოზიციაა, რომელიც დღემდის სრულიად უჩვეულო იყო.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ჩვენ უნდა გარკვევით აღვნიშნოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც ამ პოზიციიდან გამომდინარეობს. ჩვენ ვიცავთ საქართველოს, თუმცა იგი არ არის ჯერ პროლეტარიატის სამშობლო, როგორც ეს ჩვენ გვესმის; ჩვენ ვიცავთ იმ სახელმწიფოს, სადაც ჩვენ სრულუფლებიან მოქალაქეებადაც არა ვართ ცნობილი, სადაც ჩვენი ლეგალური მოქმედება ბეწვზე კიდია; ჩვენ ვიცავთ იმ ძალას, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული,—მაშასადამე, ჩვენ ვმოქმედობთ ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგოთ.

ეს ცხადია. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ჩვენ არ შეგვიქნია და არც არსებობს საშუალება მისგან თავის დასაღწევათ. ეს წინააღმდეგობა შექმნა საერთაშორისო ძალთა ურთიერთობამ, და სანამ ეს უკანასკნელი კიდევ არ შეიცვლება, წინააღმდეგობაც იარსებებს. ამავე დროს, შექმნილი მდგომარეობა თავისი წინააღმდეგობით სასარგებლოა საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობისთვის და ჩვენ, როგორც მისი ერთი რაზმი, უნდა შევურიგდეთ და შევეთანხმოთ ამ მდგომარეობას, თუნდაც მისი ერთი მხარე მომართული იყოს ჩვენს წინააღმდეგ, როგორც ადგილობრივი მუშაკებისა. კოლიზია ადგილობრივ და საერთაშორისო ინტერესებს შორის შექმნილია მეტის მეტათ გართულებულ თანამედროვე პირობების მიერ და ჩვენ უნდა შევსძლოთ მისი ყოველმხრივათ გარკვევა, რომ რაიმე უკიდურესობაში არ გადავვარდეთ.

ჩვენ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში საერთაშორისო ანუ საგარეო მნიშვნელობის საქმე საშინაო საქმესთან. ხელშეკრულობის ძალით საბჭოთა რუსეთი არ ერევა საქართველოს შინაურ საქმეში; ჩვენ კი, პირიქით, მთელი ძალღონით უნდა ჩავერიოთ ამ საქმეებში და ვეცადოთ შექმნილი ძალთა ურთიერთობა ჩვენს სასარგებლოთ შევცვალოთ. თუ საგარეო საქმეებში ჩვენ მოგვიწევს სხვა და სხვა პარტიებთან, თვით მმართველ პარტიასთან შეთანხმებით მოქმედება, საშინაო საქმეებში არავითარ შეთანხმებას ადგილი არ უნდა ექნეს. აქ სავსებით უნდა იქნეს დაცული ჩვენი პარტიის შეურიგებელი, პროლეტარული პოლიტიკა.

საგარეო, ანუ საერთაშორისო მნიშვნელობის საქმეებიც არ უნდა წარმოვიდგინოთ ასე, ვითომ ჩვენ წინდაწინ ვადასტურებთ და ვეთანხმებით მმართველ წრეების ყოველ ნაბიჯს, რომელსაც ისინი ამ მხრივ გადასდგამენ. არა, ყოველ კერძო შემთხვევაში ჩვენ ავსწონ-დავსწონით მდგომარეობას, გავაკრიტიკებთ ამა თუ იმ ზომას, კიდეც შევებრძოლებით მას, თუ საჭირო იქნა, ხოლო საერთო გზა ამ მხრით ჩვენი მოქმედებისა უეჭველათ წინდაწინ უნდა იყოს განსაზღვრული და გათვალისწინებული.

## არა მკითხე ჭირისუფლები

განჯაში მომხდარ ამბებს თანდათან ეხდება ფარდა. სულ უფრო და უფრო აშკარავდება აზერბეიჯანის კაპიტალისტების, მემამულეების (ხანების, ბეგების და აღალარების) საზიზღარი როლი მათ მიერ გაყვლეფილ და დამონებულ აზერბეიჯანელ გაუნათლებელ გლეხობის დატყუილებაში და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებაში. და იმავე დროს აშკარავდება აგრეთვე ის საზიზღარი როლიც, რომელსაც განჯაში მომხდარ ამბების გაშუქებაში ადგილობრივი გაზეთები თამაშობენ.

ვის არ ახსოვს ის აშკარა უკმაყოფილება და ბოროტი გაბრაზება, რაც აზერბეიჯანში მუშათა და გლეხთა მთავრობის აღდგენამ გამოიწვია თფილისის თითქმის ყველა გაზეთებში. ყველა ესენი უკმაყოფილებას აცხადებდენ და ბრაზობდენ იმის გამო, რომ აზერბეიჯანში ერთი წვეთი სისხლის დაუღვრელათ დაემხო მუსავატელ კაპიტალისტების და მემამულეების მთავრობა, რომელიც ჯალათის როლს ასრულებდა აზერბეიჯანის მშრომელი მასის წინააღმდეგ, და ასე ადვილათ დაწესდა იქ საბჭოთა მთავრობა. ისინი დორბლიანი პირით გაკიოდენ აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების გამო, მაგრამ იმათი გაბოროტების სიბრაზის უმთავრესი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ეს გადატრიალება აზერბეიჯანში მოხდა საბჭოთა რუსეთის წითელარმიელების დახმარებით. ჩვენ კარგათ გვახსოვს ის, როცა აზერბეიჯანში ბატონობდენ ინგლისელი გენერლები, როცა იქ განუკითხავათ თარეშობდენ აგრეთვე დენიკინელები, მაგრამ ეს გარემოება აბა თუ არავითარ უკმაყოფილებას არ იწვევდა იმ ჯგუფებში და წრეებში, რომლებიც დღეს ასე ალშფოთებულია საბჭოთა რუსეთის ჯარების შესვლით აზერბეიჯანში, არამედ დიდათ კმაყოფილი იყვენ იმით, რომ მოკავშირეთა ჯარები იმყოფებოდენ აზერბეიჯანის ტერიტორიაზე. ყველა ამათთვის ტომსონები და ბრაუნები, რომლებიც მხსნელებათ მოევლინენ ადგილობრივ მილიონერებს, კაპიტალისტებს და მემამულეებს, და რომლებიც ამ უკანასკნელთ შველიდენ ადგილობრივი მშრომელი მასის დაჩაგვრის და გაყვლეფის საქმეში, ვიმეორებთ, ამათთვის ინგლისელი გენერლები და დენიკინელები მეტათ სასურველნი იყვენ. მაგრამ საქართველოს და სომხეთის შოვინისტებისთვის დაუშვებელი იყო ის გარემოება, რომ საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელი მასსის მახლობელი მოკავშირე საბჭოთა რუსეთი შეიქნა. ამ ვაჟბატონების უბედურება კიდევ იმით ორკეცდებოდა, რომ ეს ძირითადი გადატრიალება აზერბაიჯანში უსისხლოთ მოხდა, მშვიდობიანობა ოდნავაც არ დარღვეულა და ხალხის დიდი უმრავლესობა ამას აღფრთოვანებით შეხვდა. არ მართლდებოდა ამ ცუდ და ბოროტ წინასწარმეტყველების მოლოდინი, რომ საბჭოთა მთავრობის დამყარებას უთუოთ მოყვება აზერბაიჯანში ნაციონალური შუღლის გამწვავება, რომ სომეხ-თათართა ელეტა კიდევ უფრო გაძლიერდებაო და სხვ. პირიქით, სომეხ-თათართა ელეტა ყარაბახში მყისვე შეჩერდა სწორედ საბჭოთა მთავრობის გამოცხადებისთანავე. თვით ბაქოში, სადაც საბჭოთა მთავრობის აღდგენის წინ სომეხ და მუსულმანების შეტაკებებს დღე-დღეზე მოელოდენ და მცხოვრებნი აუტანელი შიშის ძრწოლით იყვენ შეპყრობილნი, მუსავატელ ბეგების და ხანების მთავრობის დამხობის შემდეგ ატმოსფერა სრულიად გაიწმინდა და ყველამ თავისუფლათ ამოისუნთქა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მუსავატელელების ძველ და ახალ მეგობრებს საქართველოში ეს არაფრათ ეპიტნავებოდათ. იმათ საგიტაციო მასალა აკლდათ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. მართალია ასეთ მასალებს ისინი ხშირათ იგონებდენ, ხან შეთხზავდენ, რომ ბაქოში სომეხ-თათართა ელეტა დაიწყო, რომ ნავთის წყაროებს ცეცხლი გაუჩნდა და იწვის, რომ წითელ არმიელები და „ჩრეზვიჩაიკა“ შეუბრალებლათ ხვრეტენ ყველას, ვინც არ მოეწონებათო, მაგრამ ყველა ამის სიყალბე მეორე დღესვე აშკარავდებოდა. მაგრამ ამ ვაჟბატონებს ბედმა თითქოს გაუღიმა: განჯაში მაისის დამლევს კონტრ-რევოლიუციონური აჯანყება მოახდინეს დამხობილ მთავრობის წევრებმა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რის გამო დიდი სისხლი დაიღვარა. და აი, მოხდა ყველა კონტრ-რევოლიუციონერების და მუშა-ხალხის მტრების გასახარელი ამბავი. მართალია, ეს ვაჟბატონები, ფირცხალავები, ღლონტები, გოთუა-გვაზავები და ძმანი მათნი თითქო ცრემლებსაც ღვრიან, მაგრამ ეს ნიანგის ცრემლებია. ამ ვაჟბატონებმა ისე უნდათ მკითხველებს დაანახვონ, რომ აზერბაიჯანში შინაური და გარეშე ძალები ებრძვიან ერთმანეთს: ერთი მხრით დამპყრობელნი, ე. ი. რუსი წითელი-არმიელები, რომლებიც აზერბაიჯანის მშრომელ მასსას იმორჩილებს, მეორე მხრით დაპყრობილი, დაჩაგრული და შეურაცხყოფილი თათრობა. ასე რყვნიან, ასე უსინდისოთ ამახინჯებენ ეს ვაჟბატონები სინამდვილეს. განა ამ ვაჟბატონებმა არ იციან, რომ საბჭოთა აზერბაიჯანს სათავეში უდგანან თვით ადგილობრივი მკვიდრნი, ე. ი. აზერბაიჯანელი თათრები, რომ საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობა ნარიმანოვის მეთაურობით ეყრდნობა თვით აზერბაიჯანელ მშრომელ მასსას, და თუ განჯაში დაიღვარა სისხლი, ეს იყო სამოქალაქო ომი აზერბაიჯანის მშრომელ მასსასა და მის მყვლეფელებსა და მჩაგვრელებს შორის. და თუ ამ უკანასკნელთა მხარეზე აღმოჩნდენ დატყუილებული თათრის გლეხები, ეს არავისთვის გასაკვირალი არაა, ეს მხოლოდ უბედურებაა. მაგრამ ჩვენ ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოს მუშებისა და გლეხების მტრები აზერბაიჯანელ თათრობაზე ფარისევლურათ გოდებენ და მოსთქვამენ, თითქო განჯაში მომხდარი აჯანყების დროს ერთი-მეორეს დაუპირდაპირდა თათრობა და რუსობა. არა და ათასჯერ არა, არამკითხე ჭირისუფლებო: აქ დაუპირდაპირდენ ერთ-ერთმანეთს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, კონტრ-რევოლიუციონერი ბეგები და ხანები ერთი მხრით და მშრომელი მასსა მეორე მხრით. ამ სინამდვილეს, ბოროტი სულისკვეთებით აღჭურვილნი, თქვენ განგებ აფარებთ ხელს. საბჭოთა მთავრობა ყველა ხალხთა ძმობას და თანასწორობას ქადაგებს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით. თქვენ, სწორეთ თქვენ თესავთ სიძულვილს, მტრობას და შუღლს ხალხთა შორის. განა თქვენ არ იცით, რომ რუსი-წითელარმიელი აზერბაიჯანელ მშრომელი მასსის ნამდვილი ძმა და მეგობარია. იცით, მაგრამ ეს თქვენთვის გამოსადეგი როდია. იცოდეთ კი, რომ ჩვენ დაუზოგველათ ავხდით ფარდას თქვენს ფარისევლობას, მატყუარობას, გაიძვერაობას და კაციჭამიობას.

## პოლიტიკური მდგომარეობა

დღეს მთელი ყურადღება პოლონეთთან ომს აქვს მიპყრობილი, მეტადრე ჩვენი, რადგან, როგორც ვსთქვით, ეს ფრონტი უკანასკნელი ცდაა რესტოვრაციისათვის რუსეთში, ვინაიდან საერთაშორისო მდგომარეობა რამდენათ ჩვენთვის რთულდება, იმდენათ და გაცილებით კიდევ მეტად, მოწინააღმდეგეთათვის.

ჩვენ ისიც ღრმათ გვწამს, რომ, რაც არ უნდა იყვეს, პოლონეთთან ომს მხოლოდ შინა აღმაშენებლობითი მუშაობის შეფერხება და სამოქალაქო ომის გახანგრძლივება შეუძლია, თორემ მისი დამარცხების ნიშნები მრავალია. მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი მოწინააღმდეგე თავის სიგრძე-სიგანით.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვების ერთი მხარე ყოველთვის ის

...ფო და არის, რომ პროლეტარული სტრატეგია უფრო ფხიზელია, რომელიც თავის დროზე წარმოიდგენს ხოლმე მოწინააღმდეგეთა ძალებს და მას სათანადო ბრძოლას უცხადებს.—დღეს საინტერესოა ერთი კითხვა. რომელ მოპირდაპირე ძალას რამდენი მოკავშირე ყავს და შეუძლია მომავალში ყავდეს. ყველაზე უფრო დაინტერესებული ძველი რუსეთის აღდგენის. ეს ინგლისი და საფრანგეთი იყო და არის, რათა გაენაღდებიათ უცხათ გაცემული სესხი და ყოლოდათ ძლიერი მოკავშირე. მაგრამ მას შემდეგ, როცა ინგლის-საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში დადგა კრიზისი, რაც გამოიწვია პარლამენტარული ფრაქციის, პროფკავშირების და საზოგადოებების პროტესტებმა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ, მათ გარეგნულათ ხელი აიღეს ამ საქმეზე და მხოლოდ ფარულად დაიწყეს დახმარება, რათა ეს საგრძნობი არ ყოფილიყო პროლეტარიატისათვის. თანახმათ ასეთი პოლიტიკისა მას არასოდეს აღარ შეუძლია შეიარაღებული რეგულიარული ჯარით დახმარება გაუწიოს პოლონეთს, გარდა მოხალისეებისა, სამხედრო ხელმძღვანელების და სანოვაგის მიწოდების. მათ კიდევ ერთი გეგმა ჰქონდათ განზრახული ბოლშევიზმთან საბრძოლველად: პატარა ანტანტის შექმნა პოლონეთის მეთაურობით, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს, იმედი გაცრუვდა.

პატარა სახელმწიფოები შეუკავშირებელი დაურჩათ ევროპის ბურჟუაზიას ბოლშევიზმთან საბრძოლველად.

ერთი ამ პატარა სახელმწიფოთაგანი რუმინიაა. როგორია მისი მდგომარეობა? დღეს მას შინაც და გარეთ უმწეო მდგომარეობა აქვს, ყველაზე უფრო მას მოსვენებას არ აძლევს ბესარაბია, სადაც ყოველდღე თუ თვეობით და დღეობით, საათობით უნდა ველოდეთ ფართე აჯანყებას ბესარაბიელ მემამულეთა და რუმინელ ოკუპანტობის წინააღმდეგ. ორმილიონ ნახევარი ბესარაბია დღითი დღე ეძებს საშვალებას თავიდან გადაიძროს რუმინიის კაროლის უღელი. რუმინიის ბურჟუაზია კი ვერ ისვენებს უბესარაბიოთ და ისინი მზად არიან მიემხრონ იმათ, ვინც ბესარაბიის ოკუპაციას დაუ[illegible]ტურებს, მაგრამ ვის შეუძლია ეს? გაქცეულ დირექტორიას? მისი ძალის რუმინიასაც აღარ სჯერავს რა...

ერთი სიტყვით რუმინიას ყოველივე საშუალება და იმედი მოჭრილი აქვს და, რომც გაბედოს ჩარევა, ბესარაბიას კი არა, ბუხარესტსაც უნდა დაემშვიდობოს. იქ საბჭოების ძალაუფლება დღის წესრიგშია დასმული.

რა შეიძლება ითქვას ბულგარეთზე?

ბულგარეთის დიპლომატია ყოველთვის მოტყუილებული დარჩა და ის იმდენათ იმედ დაკარგულია, რომ თუ მას თავს დაანებებენ, ის სხვას ვერა ავნებს რას. ის მოსტყუვდა ჯერ 1912 წ. ოსმალეთთან ბრძოლაში ბალკანეთზე ომის დროს,—მოკავშირეებმა ბულგარეთი პირში ჩალაამოვლებული დასტოვეს. მათი ქინით ის მის მოსისხლე მტრის, ოსმალეთის მოკავშირესთან; გერმანიასთან ერთად გამოვიდა დიდ ევროპის იმპერიალისტებში იმ იმედით, რომ გერმანია გაიმარჯვებდა. ის აქაც მოსტყუვდა, გერმანია იმპერიალისტურ ომში დამარცხდა და ბულგარეთი, როგორც იმპერიალისტური, დაეცა.

შექმნილმა პირობებმა ბულგარეთში რევოლიუციონური მოძრაობა გააძლიერა. თუ $4\frac{1}{2}$ მილიონ ბულგარეთში სოც.-დემოკრატიულ პარტიას (ტესნიაკებს) ომის დაწყებამდის სამიათასამდე პარტიის წევრი ყავდა, გასულ წელს, მარტში მომხდარ ყრილობაზე, აღმოჩნდა ორმოცი ათასი პარტიის წევრები და მრავალ-რიცხოვანმა დელეგატების ყრილობამ, რომელიც გახსნა ბულგარეთში უხუცესმა კომუნისტმა ბოგროევმა, სავსებით მიიღო კომუნისტური პარტიის რეზოლიუციები და სახელათ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წოდება მიიღო, რომელიც დღეს შედის მესამე ინტერნაციონალში. აქედან სავსებით სჩანს ბულგარეთის მემამულეების, კაპიტალისტების და „ჩინოვნიკების“ აღსასრული.

მოკლე მიმოხილვიდანაც სჩანს რომ პოლონეთი მოკავშირეებს იშვიათათ იპოვის გარდა ვრანგელისა და პეტლიურასი, და ორივე ეს საგრძნობელ სამხედრო ძალას არ წარმოადგენს რუსეთის პროლეტარიატთან საბრძოლველად.

ვინაა წითელი ჯარის მოკავშირე? ეს მთელი ქვეყნის ყველა ხალხთა პროლეტარიატია.

**თენგიზი.**

# პრესა

„ერთობის“ თანამშრომელი ბ. დევდარიანი კვალში ჩაუდგა და ჩვენი გაზეთის არც ერთ ნომერს არ უშვებს გაუკრიტიკებლათ, მაგრამ კრიტიკაც არის და კრიტიკაც. დევდარიანის „კრიტიკა“ ერთობ იოლათ „აკეთებს“ თავის საქმეს, სადავო საკითხს ის არასოდეს პირდაპირ არ მიუდგება; უეჭველათ სიტყვას ბანზე აგდებს და პირიქით გამოგვდავება.

ახლაც ჩვენ წამოვაყენეთ დებულება: რომ მენშევიკებმა უარყვეს პროლეტარიატის დიქტატურა და ნაცვლათ ამისა შეითვისეს ახალი ფორმულა: „დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ“. დევდარიანი ერთი სიტყვით უარყოფს ამას,—ჩვენ ახლაც ვაღიარებთ სოციალისტური რევოლიუციის დროს პროლეტარიატის დიქტატურასო და მთელ წერილს აშენებს ამაზე, თუ როგორია ეს დიქტატურა საბჭოთა რუსეთში. ის ჩვენგან მოითხოვს პასუხი გავსცეთ ყველა მის მიერ მოყვანილ „ფაქტებზე“, ე. ი. ბატონ-კაცურათ გვიკარნახებს, თუ რაზე და როგორ უნდა ვსწეროთ ჩვენ. ტყუილათ ირჯება ბ. დევდარიანი: ჩვენ ვწერთ იმ საკითხებზე, რომლებზე წერაც საჭიროთ მიგვაჩნია და ვსწერთ ისე, როგორც გვიკარნახებს ჩვენი მსოფლმხედველობა. რაც შეეხება რუსეთის სინამდვილის გაშუქებას, რომლის ბურუსში გახვევას ასე გულისდასმით ემსახურებიან საერთოთ მენშევიკები და კერძოთ ბ. დევდარიანი, ჩვენ შეძლებისა დაგვარათ ვაწარმოებთ ამ საქმესდ დღიდან ჩვენი გაზეთის გამოსვლისა. მაგრამ ამ მხრით მართლაც ბევრი გვაქვს ჯერ კიდევ გასაკეთებელი რადგან, ნათქვამია: ერთი სულელი იმდენ ტყუილს დაროშავს, რომ მის გაბათილებაზე ათი ჭკვიანი მოიღლებაო.

* *
*

„სახალხო გაზეთი“ საერთო მდგომარეობაზე სწერს და ასეთ აზრებს გამოსთქვამს საბჭოთა რუსეთზე:

„საბჭოთა რუსეთი დღეს იგივე იმპერიალისტური სახელმწიფოა, მასაც ისეთივე დაპყრობითი გეგმები ამოქმედებს და გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ კი მასაც აქვს შეთვისებული იმპერიალისტების მორალი“.

ასე კარგათ ესმის გაზეთს საერთო მდგომარეობა.

# დეპეშა

### ჩიჩერინის მოთხოვნა სომხეთის მთავრობისადმი

სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ოგაჯანიანმა ჩიჩერინისაგან ერთი კვირის წინათ მიიღო შემდეგი დეპეშა: ულრმესი აღშფოთებით გავიგეთ სომხეთის მუშათა და გლეხთა რევოლიუციის ჩაქრობის ამბავი; კომუნისტებს გამოუძიებლად და გაუსამართლებლად ასობით ხვრეტდენ; რევოლიუციონური მუშების და გლეხებისაგან ციხეები გაავსეს. ჩემს მთავრობას კარგი წარმოდგენა ქონდა თქვენს მთავრობაზე. ამიტომ გამართა რა მოლაპარაკება თქვენი მთავრობის წარმომადგენელთან, უნდოდა მრავალტანჯული სომხეთის ხალხის ფიზიკურ არსებობის უზრუნველყოფა. მაგრამ სამწუხაროდ, ახლა შევიტყეთ, რომ თქვენი მთავრობა თვითონ ხვრეტს სომხეთის მუშებს. მოლაპარაკებამ რომ თქვენს წარმომადგენელთან სასურველი ნაყოფი გამოიღოს, მოვითხოვ დაუყოვნებლივ შესწყდეს დახვრეტა და გაანთავისუფლოთ ჩვენი ამხანაგები. ულრმესი აღშფოთებით. გაეიგეთ ჩვენ ამხანაგის მელკონიანის დახვრეტა თქვენი ჯალათებისაგან.

# პარტიული ცხოვრება

### ს. ხოვლე (გორის მაზრა)

7 ივნისს ს. ხოვლეში გაიმართა კომუნისტურ ორგანიზაციის მოსაწყობათ მოწვეულ მოწინავე ამხანაგების კრება. პასუხისმგებელმა ორგანიზატორმა ამხ. გ. გააკეთა ვრცელი მოხსენება თანამედროვე მომენტზე და ორგანიზაციულ საკითხზე. ხალხი ძალზედ მოხარული შეიქნა ლეგალური კრების მოხდენით, ახალი პოლიტიკური სიტუაციით და გამოიმუშავა პრაქტიკული გეგმა რაიონულ ორგანიზაციის ახალ ჩარჩოებში ჩამოსაყალიბებლათ.

გადაწყდა, რომ ადრე მოწვეულ იქმნას ახალქალაქის რაიონის იაჩეიკების წარმომადგენლების ყრილობა.

7 ივნისს ამავე სოფელში მოხდა მცირე რიცხოვანი პარტიულ ამხანაგთა კრება რომელსაც 100 კაცი დაესწრო.

კრებაზედ პასუხის მგებელმა ორგანიზატორმა ამხ. გ. გააკეთა მოკლე მოხსენება თანამედროვე მდგომარეობაზედ; ვინაიდან მის ვრცელ მოხსენებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ადგილობრივმა კომისარმა, რომელიც გამოცხადდა კრებაზედ თვისი მილიციონერებით, მღვდლით, გახულიგანებული პირ[illegible]ით და სოციალ-დემოკრატ მასწავლებლით გამოაცხადა, რომ „ლაპარაკის ნება არავის არ ეძლევაო“. აქ მას კარგათ ეტყობოდა, რომ პროვოკაცია მოწყობილი ჰქონდა. მიმართავდა ხალხს: „რას იტყვით, ხალხნო, გინდათ კიდევ აგაწიოკონ, როგორათაც წინათ დაგემართაო ბოლშევიკობაზედ თუ არა“-ო.

მოხერხებულმა ამხანაგმა მოხერხებით მაინც დაარღვია ამ დაუპატიჟებელი სტუმრის იმედი და შესძლო ხალხისათვის ემცნო ბოლშევიკების ვინაობა.

კარგი იქნება მთავრობამ თვისი კანონის დამცველნი შეიკავონ მოსალოდნელ პროვოკაციისაგან, რომ შემდეგ აღარ შეიქმნეს საჭირო თავის მართლეობა.

**გიო ქართლელი.**

### ქ. თელავი.

შესდგა დროებითი სამაზრო კომიტეტი, რომლის პირველი სხდომა მოხდა შაბათს 8 ივნისს საღამოს 6 საათზე. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) თელავის მაზრის რაიონებათ დაყოფა, 2) კონფერენციის მოწვევა, 3) პროპაგანდისტთა წრის დაარსება, 4) პარტიული სამკითხველოს გახსნა, 5) რეპრესიების დროს ჩამორთმეულ ლიტერატურის მოთხოვნა ერობისაგან, 6) სამაზრო პასუხისმგებელ კორესპონდენტის დანიშვნა, 7) „კომუნისტის“ გამოწერა ამხანაგებისთვის და, 8) ეცადინეობა იაჩეიკაში და სხვა. ყველა ამ საკითხებზე კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა: 1) ვინაიდან თელავის მაზრას სამოცზე მეტი სოფელი აკრავს, მუშაობის გასაადვილებლათ გაიყოს იგი 4 რაიონათ. 2) დაიგზავნოს ყველა რაიონებში ამხანაგები, რომ ყველა სოფლებიდან მოიწვიონ მოწინავე ამხანაგები 13 ივნისისათვის თელავში კონფერენციაზე და ეცნობოს საგუბერნიო კომიტეტს გამოგზავნოს ამ დღისთვის საჭირო ლიტერატურა და სარეგისტრაციო ბარათები.

# პროლეტარული სახელმწიფო ანუ საბჭოების სისტემა

(გაგრძელება)

მენშევიკებმა და ესერებმა ბურჟუაზიასთან ერთათ გამოუცხადეს შეუბრალებელი ომი პროლეტარიატის დიქტატურას. ეს ვაჟბატონები, რომლებიც თავის თავს სოციალისტებს და მარქსისტებს უწოდებენ, მუშებს და გლეხებს ამტკიცებდენ, რომ ბოლშევიკებმა ისინი შეაცდინეს, რომ მუშათა კლასს და ბურჟუაზიას ერთათ უნდა ევლოთ, კიდევ მეტი: ვინაიდან მუშები დღეს ახდენენ არა პროლეტარულ (სოციალისტურ) რევოლიუციას, არამედ ბურჟუაზიულ რევოლიუციას, ამიტომ რევოლიუციის მეთაურათ ბურჟუაზია (მილიუკოვები, როდზიანკები, ბუბლიკოვები და სხვა მსგავსი მართველები) უნდა მიგვეჩნია და სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეც მათთვისვე უნდა ჩაგვებარებიაო. და ყოველივე ეს საჭირო ყოფილა თვით მუშათა კლასის ინტერესებისთვის და ამას თვით სოციალიზმის ინტერესებიც მოითხოვდაო. პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში მეტათ ნაადრევია, და ამ დიქტატურას არც კი [illegible] სოციალიზმის განხორციელების საქმე, ვინაიდან სოციალიზმისაკენ ჩვენ მივყევართ არჩევნების საყოველთაო უფლებას, დემოკრატიზმს და სხვ. და სხვ. საერთოთ მენშევიკები ამ შემთხვევაში ორ მთავარ დებულებას აყენებენ, სახელდობ: 1) პროლეტარულ-სოციალისტური რევოლიუცია რუსეთში ნაადრევია, მას ნიადაგი არ აქვს, და ბოლოს ასეთი ცდა გამოიწვევს შავ რეაქციას, მონარქიის აღდგენას; 2) სოციალიზმის განსახორციელებლათ სრულებით საჭირო არაა პროლეტარიატის დიქტატურა, ამისთვის საკმარისია ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, საყოველთაო საარჩევნო უფლება, ე. ი. „დემოკრატიის საშუალებით სოციალიზმისაკენ“. გავარჩიოთ მოკლეთ ეს დებულებები. პროლეტარული რევოლიუცია რუსეთში მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ნაადრევია, ვინაიდან ეს ქვეყანა კაპიტალისტურათ განუვითარებელია.

მაგრამ მენშევიკები სოციალისტურ რევოლიუციას ამჟამათ ნაადრევათ თვლიან არა მარტო რუსეთისთვის, არამედ ევროპა-ამერიკისთვისაც, სადაც კაპიტალიზმა ფინანსიური კაპიტალის სახით უკვე მიაღწია თავის უმაღლეს ანუ უკანასკნელ საფეხურს. და მერე ჩვენ დროში, ორთქლის, ელექტრონის, რკინის გზების, ორთქლმავლების ხანაში განა კაპიტალიზმი ყველა ცოტათ თუ ბევრათ დაწინაურებულ ქვეყნებისთვის საერთაშორისო მოვლენას არ წარმოადგენს? თავის თავათ იგულისხმება, რომ კაპიტალიზმი რუსეთში ამ ორი-სამი წლის წინეთ თავის განვითარებით მეტათ დაბლა იდგა, ვინემ ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში საფრანგეთში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მარქსი და ენგელსი გასული საუკუნის მეორმოცდაათე წლებში შესაძლებლათ თვლიდენ პროლეტარული რევოლიუციის მოხდენას მაშინდელ გერმანიაშიაც კი, რომელიც ამ მხრით გაცილებით დაბლა იდგა დღევანდელ რუსეთზე. და ამას ორგვარი გასამართლებელი მიზეზი ქონდა. ერთი ის, რომ ბურჟუაზია, რომელიც თავის [illegible] პირველ ხანებში რევოლიუციონურ როლს თამაშობდა, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ე. ი. დაახლოვებით 70 წლის წინეთ, უკვე გარეაქციონერებული იყო ყოველივე რევოლიუციონურ შემოქმედებაში, თუნდაც თავის საკუთარ ინტერესების დაცვაშიაც კი. მეორე მხრით ამავე დროს ეკუთვნის უკვე მუშათა კლასის დარაზმვის ცდა საკუთარ დროშის ქვეშ და საკუთარი ლოზუნგებით რევოლიუციონურ გამოსვლებში. ამიტომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში მარქსი და ენგელსი ბურჟუაზიულ რევოლიუციების ხანას ყველა ცოტათ თუ ბევრათ დაწინაურებულ ქვეყნებისთვის უკვე განვლილათ თვლიდენ. იმათთვის ჯერ კიდევ 70 წლის წინეთ მიღებულ გამოცდილების მეოხებით. აშკარა შეიქნა, რომ ამიერიდან რევოლიუციების მეთაურათ და მის მატარებლათ შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასსი მისი ავანგარდის, მოწინავე რაზმის—პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. მარქსი და ენგელსი ცდებოდენ მხოლოდ იმაში, რომ პროლეტარული რევოლიუციის აფეთქებას ელოდენ 1848 წლის რევოლიუციის დამარცხების პირველ ხანებშივე, ორი-სამი წლის შემდეგ. მაგრამ საერთოდ იმათი დებულება იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულ რევოლიუციების ხანა გათავდა და კაცობრიობამ გადაიბიჯა უკვე პროლეტარულ რევოლიუციების ხანაში, ეს დებულება თანდათან ურყეველი შეიქნა, ვინაიდან ერთი მხრით ბურჟუაზიის რეაქციონერობა სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო შეიქნა და მეორე მხრით მუშათა კლასსის დარაზმვა და მისი კლასსობრივი შეგნება-განვითარება გიგანტისებური ნაბიჯით წავიდა წინ. სწორედ ამ ხნიდან დაწყებული მუშათა კლასსი ევროპის და ამერიკის დიდ სახელმწიფოებში: ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, იაპონიაში და სხვ. ქმნის და ავითარებს თავის ძლიერ პოლიტიკურ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ესე იგი, როგორც ერთად ერთი მოწინავე კლასსი, იწვრთნება და იწაფება კლასსობრივ ბრძოლის ასპარეზზე, იძენს გამოცდილებას, სწავლობს ბრძოლის ახალ მეთოდებს. თუ ამ 50-70 წლის წინეთ მუშათა კლასს ჯერ კიდევ არ ქონდა გამოცდილება და კლასსობრივი შეგნება, თუ მას იმ ხანებში არ მოეპოვებოდა არც პროფესიონალური და, კიდევ უფრო, არც პოლიტიკური ორგანიზაციები სოციალისტურ პარტიების სახით, სამაგიეროთ დღეს ამ მხრით მდგომარეობა ძირეულათ შეცვლილია.

როცა დღეს ყოფილი სოციალისტები ისტერიულათ გაკივიან, რომ პროლეტარიატი არა თუ რუსეთში, არამედ ევროპა-ამერიკაშიაც არაა მომზადებული სოციალისტური რევოლიუციისათვის, ასეთი მსჯელობა ან ბავშურ უსუსურობას შეადგენს ან კიდევ განზრახ სინამდვილის დამახინჯებას. ვინ უნდა დააფასოს ამ მომზადების ხარისხი? და განა ისტორიულ ფაქტებზე მიმდინარეობა ბ.ბ. „სოციალ-დემოკრატებს“ (მენშევიკებს) დაუცდის, სანამ ესენი თავის აზრს გამოსთქვამდენ ამ მომზადების ხარისხის შესახებ? აშკარაა, რომ ისტორია იმათ როდი ელოდება. მსოფლიო კაპიტალის განვითარება აღწევს თავის უმაღლეს საფეხურს, ხდება კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია (წარმოების საშუალებათა და სხვა სიმდიდრის დაგროვება—შეერთება კაპიტალისტთა ვიწრო წრეში) ვეებერთელა, კოლოსსალური მასშტაბით, რაც იწვევს უდიდეს კონფლიქტებს, კატასტროფებს მსგავსათ საშინელ სტიქიური კატასტროფებისა—მიწის ძვრებისა,—კაცობრიობას თავზე ატყდება უდიდესი განცდა—საშინელი იმპერიალისტური ომი, როგორც უკანასკნელი ამონაკვნესი ბურჟუაზიული ქვეყნიერობისა. პროლეტარიატი, მუშათა კლასსი, და საერთოდ მთელი მშრომელი მასსა, რომელიც ამ კატასტროფის მსხვერპლი ხდება, არ შეიძლება გულგრილი მაყურებელი დარჩეს ყოველივე ამ ვაკხანალიისა. მას არ შეუძლია არ აღშფოთდეს, არ აჯანყდეს კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ. მენშევიკები ამ დროს მიდიან მუშებთან და ასეთ „ბრძნულ“ რჩევა-დარიგებას აძლევენ მათ: ჯერ დრო არ არის პროლეტარული რევოლიუციის მოსახდენათ, თქვენ მოუმზადებელი ხართ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისთვის, თქვენ არ გაგივლიათ ჯერ დემოკრატიის სკოლა, არ გიგემებიათ საყოველთაო არჩევნების სიტკბოება, ამიტომ პროლეტარულ რევოლიუციას თავი დაანებეთ, მართვა-გამგეობა ისევ ბურჟუაზიის ხელში დასტოვეთ ან ჩვენ (მენშევიკები) ვიკისრებთ ამას იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოთ, თქვენც არ დაგივიწყებთ, ბურჟუაზიის სტოლიდან ნაფინჩხებს—რეფორმების სახით—თქვენთვის არ დავიშურებთ,—ეს კარგათ დაიხსომეთ. თავის თავათ იგულისხმება, რომ ისინი ასეთი რჩევა-დარიგებით ისტორიულ მსვლელობას ვერ შესცვლიან. ოქტომბრის რევოლიუციის მოხდენის დროს ისინი არწმუნებდენ მუშებს, რომ ეს რევოლიუცია უდღეურია, ის ქარის მოტანილია და ქარი წაიღებსო, დიდი-დიდი თუ მან ორი კვირა იცოცხლოსო, მაგრამ მას შემდეგ გავიდა ორწელიწადნახევარი, და ოქტომბრის რევოლიუცია არა თუ ფეხზე დგას, არამედ მისი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მკვიდრი ხდება. მენშევიკები იმავე დროს ამტკიცებდენ, რომ რუსეთის რევოლიუცია ევროპაში გამოძახილს ვერ იპოვნისო. მაგრამ რევოლიუციამ გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში, ბოლგარიაში, რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებამ ევროპა-ამერიკის დანარჩენ სახელმწიფოებში, სავსებით დაარღვია მათი ეს შეხედულებაც. ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ იმით ინუგეშებდენ თავს, რომ ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის პროლეტარიატი იმდენათ ფხიზელი და გონების პატრონია, რომ ის არ აყვება რუსეთის ანარქისტ-ბოლშევიკებს და სამოქალაქო ომის დროშას არ აფრიალებსო, ე. ი. ევროპის მუშათა კლასსი და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის მუშები დღეს პროლეტარული რევოლიუციის მოხდენას არ ინდომებენო. მაგრამ სინამდვილემ ეს დებულებაც დაამსხვრია, ვინაიდან ყველაზე უდინჯესი ქვეყანა, ქვეყანა პირველ ხარისხოვან ფილოსოფოსების და მეცნიერების—გერმანია—დღეს უმწვერვალესი სამოქალაქო ომის ქარცეცხლშია გახვეული და პროლეტარიატის დიდი ნაწილი სოციალისტური რევოლიუციის დროშის ქვეშ იბრძვის. გერმანიას ჟორდანია-წერეთლებზე არა-ნაკლები დამრიგებლები ჰყავდათ. იქაც იყვნენ ადგილობრივი ჟორდანიები და წერეთლები შეიდემანების და ებერტების სახით, მაგრამ ვერც იქ შესძლეს სამოქალაქო ომის აცდენა. სჩანს, ასეთი ქადაგება ანუ ზავი ბურჟუაზიასთან, მორიგება კაპიტალისტურ წეს-წყობილებასთან მუშათა კლასსისთვის შეუძლებელია, და ამის ქადაგება სოციალისტების მხრით მოწმობს ორში ერთს: ან მეტისმეტ გულუბრყვილობას ან პირდაპირ ღალატს, მუშათა კლასსის გაცემას.

აქ [illegible] ერთი მეტად საგულისხმიერო გარემოება. როდის შეიქნენ რუსეთის და გერმანიის მენშევიკები პროლეტარული რევოლიუციის [illegible] წინააღმდეგი? ეს მაშინ, როცა ეს რევოლიუცია ფაქტი შეიქმნა, და ამ რევოლიუციის წინა დღით, როცა ჩვენ ამ რევოლიუციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) დაარსებულ იქნას პროპაგანდისტთა წრე ამხ. ს. ხელმძღვანელობით. 4) გახსნილ იქნას ბიუროს ერთ-ერთ ოთახში სამკითხველო, 5) მოეთხოვოს ერობას ჩამორთმეული ლიტერატურა. 6) არჩეულ იქნა პასუხისმგებელ კორესპონდენტათ ამხანაგი ს. 7) გამოწერილ იქნას 00 ცალი „კომუნისტი".

**ბიჭიკო.**

## საბჭოთა რუსეთში

**ბოლოს მაინც დარწმუნდენ.**

**არმავირი.** ურუპსკის „სტანიცის" ყაზახები დაბრუნდენ ბრძოლის ველიდან და მიტინგზე საჯაროთ განაცხადეს, რომ ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ საბჭოთა მთავრობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი თანაბრათ იცავს როგორც არა ყაზახების (ინოგოროდცების), ისე თვით ყაზახების ინტერესებსაც. ყაზახებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ლენინს, ტროცკის და მესამე ინტერნაციონალს. („კრ. ინტ.").

**ბოლშევიკებთან ბრძოლა.**

**როსტოვი.** წითელი ჯარის ნაწილებში სასურველათ ტარდება მიტინგი. საერთო ლოზუნგია: „ყველაფერი დასავლეთის ფრონტისათვის". აღფრთოვანება დიდია. აუარებელი მოხალისენი ეწერებიან.

**ქ. ომსკი** გარნიზონის ყველა ნაწილებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომ ისინი მხარს უჭერენ პროლეტარიატის ინტერესების ნამდვილ დამცველთ და მზათ არიან დაუყონებლივ გაეშურონ ფრონტისაკენ.

ყაზანის გუბერნიაში აუარებელი მოხალისენი ეწერებიან დასავლეთის ფრონტზე გასამგზავრებლათ. სრულიად უკრაინის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ყრილობაზე დელეგატებმა დასავლეთის ფრონტზე გამგზავრების სურვილი გამოსთქვეს.

**ქ. სლოვენიისა და კონოტაპის** ახალგაზრდა კომუნისტთა ფრაქციამ დაადგინა მოახდინოს მობილიზაცია თავის წევრების და დაუყონებლივ გაგზავნონ პოლიაკების ფრონტზე. (კომ.)

**პოლონელებთან ბრძოლა.**

**სტერლიტამაკიდან** წითელმა ბაშკირეთმა გააცილა პოლონეთის ფრონტზე თავისი მოხალისე რაზმი... დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა ამ გამგზავრების დროს მოწყობილი მიტინგი.

**მოზდოკში** გაიხსნა №-დივიზიონის უპარტიო წითელ ჯარის კაცთა კონფერენცია. დაესწრო 208 დელეგატი. საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნენ ამხ. ლენინი და კალინინი. წითლები სალამს უძღვნიან პოლონეთის ფრონტზე მებრძოლ ძმებს და ურყევი რწმენით აღფრთოვანებულნი, გამოტანილ რეზოლიუციაში ამბობენ: „ჩვენ, მონაწილენი კოლჩაკისა და დენიკინის ავანტიურის ჩაქრობა-განადგურებაში, როგორც ერთი, გამოვალთ საჭიროების დროს პოლონელთა „პანების" შესამუსრავათ".

**კასპიის ზღვა—საბჭოთა ზღვაა.**

ამ დღეებში ადგილობრივ გაზეთებში ცნობა იყო გამოქვეყნებული, ვითომ საბჭოთა ჯარებს ნავთსადგურ-ენზელი დაეტოვებიოს. თუ ეს მართალია, მაშინ ამის გასაღებს ჩვენ ვპოულობთ გაზეთ „პრავდის" 23 მაისის №-ში, სადაც მოწინავე წერილში ნათქვამია: „ჩვენ ენზელში იმიტომ კი არ შევსულვართ, რომ სპარსეთის ეს ქალაქი დაგვეპყრა; არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვინდოდა იქედან წამოგვეღო ყოველივე ის, რაც თეთრგვარდიელებმა ჩვენ მოგვტაცა"...

„ჩვენ შევისრულეთ ეს. თეთრგვარდიელი ყაჩაღები მოვსპეთ", ათავებს წერილს გაზეთი: „ახლა მათ აღარ ძალუძთ ვანაგრძონ ძარცვა-გლეჯა და არ შეუძლიათ, რომ კასპიის ზღვაში ჩვენი გემები ჩაღუპონ. ამიერიდან კასპიის ზღვა—„საბჭოთა ზღვაა".

## საზღვარ გარეთ

**მუშების აჯანყება გერმანიაში.**

მაისის დამლევს რადიო გაზეთებს აუწყებდა: საქსონიის ქალაქი ზანგერგაუზენი შეიარაღებულმა მუშებმა დაიკავეს. მუშებმა მთავრობა გადააყენეს და ძალა უფლება უკიდურეს მემარცხენეებს ხელთ გადასცეს. მთელი იარაღი და სამხედრო მასალა ქალაქის თვითმართველობაში გადაიტანეს. ახალი მთავრობა სიკვდილით დასჯით ემუქრება ყველას, ვინც ქურდობას, ყაჩაღობას და სპეკულიაციას ჩაიდენს.

**მსოფლიო რევოლიუცია.**

პირველ ივნისის თარიღით რადიო იუწყება, რომ იტალიის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში რევოლიუციური მოძრაობა დაიწყო.

მუშებმა გაფიცვები გამოაცხადეს და პროტესტის ნიშნათ, წინააღმდეგ იმისა, რომ მთავრობა გაფიცვის ჩასაშლელათ იძულებითი ზომებს მიმართავს, რკინის გზების ხიდები და გვირაბები ააფეთქეს.

ვერონის პროვინციაში საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, რის გამოც რკინის გზით მიმოსვლა შეწყდა. ქალაქში და ფაბრიკებზე წითელი დროშები ფრიალებენ. გაფიცვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ტარდება ლოზუნგით: „საბჭოთა მართვა-გამგეობა და პროლეტარიატის დიქტატურა".

**არეულება გამბურგში.**

ივნისის პირველს გერმანიის სამრეწველო ცენტრში, გამბურგში დიდი არეულობა დაიწყო. დიდი მიტინგის შემდეგ ხალხის ბრბო, რომელიც გაფიცულ მუშებისგან შედგებოდა, სენატის საწინააღმდეგო პროტესტის გამოსაცხადებლათ ქალაქის საბჭოს სადგომისაკენ გაემართა. დემონსტრანტებს გზა გადაუჭრა ტყვიის მფრქვეველებით შეიარაღებულმა ჯარებმა. მოხდა მაინც შეტაკება და ორივ მხრიდან ბევრი დაიჭრა და ბევრიც მოკლეს.

## ახალი ამბები

— გუშინდელ ნომერში შემდეგი კორექტურული შეცდომა შეგვეპარა ალექ. წულიკიძის ხსოვნის აღნიშვნის შესახებ; სწერია ოცდა ექვსი ივნისი უნდა იყოს ოცდა ერთი ივნისს (21.)

— **ფოთიდან გვწერენ,** 7 ივნისს ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა საფრანგეთის სამხედრო გემი. გემის უფროსმა წაუყენა ადგილობრივ მთავრობას მოთხოვნილება გადასცეს მას ექვსასი დენიკინელი ყირიმში გასაგზავნათ. მოთხოვნილება ჯერ არ შეუსრულებიათ, მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან განახლდა. უმსგავსო შემთხვევა მომხდარა ამას წინეთ, ინგლისის სამხედრო გემს მოუთხოვია ამავე მიზნით 1000 დენიკინელი და კიდევაც გადაუციათ.

— თფილისის კომიტეტის ბიურო საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტური კავშირისა დროებით მოთავსებულია ალექსანდროვის ქუჩაზე № 40 (გიმნაზია პალმოვის.) ღია არის საღამოს 5—6 საათამდე.

— ბიურო მესამე რაიონული საბჭოსი თფილისის ორგანიზაციისა საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტური კავშირისა მოთავსებულია ლაზარევის ქუჩაზე № 3. ღია არის საღამოს 5—7 საათამდე.

— ფარმაცევტთა პროფესიონალური კავშირის ბინაზე (რუსთაველის პროს. მუშათა სასახლე) კვირას, დილის 9 საათზე დანიშნულია წევრთა საერთო კრება თუ 9 საათზე არ შესდგა ქვორუმი კრება იმავე დილის 10 საათისთვის ინიშნება და კანონიერად ჩაითვლება დამსწრეთა რიცხვის მიუხედავად. გასარჩევია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები.

— **თფილისი 11 ივ.** მთავრობის უკანასკნელ სხდომაზე, ფოსტა ტელეგრაფის უფროსის დ. ს. მგელაძის მოხსენებით, დაადგინეს: მთელი ქვეყნის საფოსტო კავშირის ბერნის კონფერენციის მომართვის თანახმად, შევიდენ ამ კავშირში, როგორც სრულ უფლებიანი წევრი. კავშირის ბიუროს შესანახათ საქართველომ უნდა შეიტანოს 2000 ფრანკი და უნდა გაგზავნოს საქართველოს მარკის ყოველი ნიმუშის 383 ცალი, რათა იგი მთელი ქვეყნის საფოსტო კავშირს ყველა სახელმწიფოს გადაეგზავნოს.

— **ქალაქის მოსამსახურეთა ნამსახურობის სიები.** ქალაქის თვითმართველობამ მიმართა წინადადებით ქალაქის განყოფილებებს შეადგინონ ქალაქის დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნამსახურების სიები. განყოფილებებმა პერიოდიულად უნდა მიაწოდონ ყველა ცნობები როგორც ახლად შემოსულ პირების შესახებ, აგრეთვე იმ პირების შესახებ, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან;

— **უმუშევართა ფონდი.** წინასწარი ანგარიშით უმუშევართა სასარგებლოთ შრომის ბირჟას შეუკრებია 80.000 მან. რადგანაც ეს თანხა უმუშევართათვის უფასო სასადილოს მოსაწყობათ არ კმარა, ამიტომ შრომის ბირჟამ გადასწყვიტა რამდენიმე წარმოდგენა კონცერტი გამართოს. შრომის ბირჟამ გადასწყვიტა, რომ რაიმე წარმოების დაწყება, სადაც საქმეს უშოვიან უმუშევართ, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც უმუშევართა ფონდი 400-500 ათას მანეთს მიაღწევს. ახლა შრომის ბირჟასთან არის შესაკინძი, კალოფის და კონვერტების სახელოსნოები. ამ სახელოსნოებში ყოველ დღე სამუშაო აქვს 10 უმუშევარს.

— **ავათმყოფთა ეტლებით გადაყვანის აკრძალვა.** ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა აკრძალოს ეტლით გადაყვანა ისეთ გარდაცვალებულთა და აგრეთვე ავათმყოფთა, რომელნიც გადამდებ სენით არიან ავათ. ამ დადგენილების ასრულება ევალებათ მილიციის უფროსებს, ის, ვინც არ ასრულებს დადგენილებას დათხოვნილი იქნება სამსახურიდან ან დაჭერილი იქნება სამი თვით.

— სასურსათო განყოფილების მოქმედება 1920 წ. თავის მოქმედების დროს სასურ. განყოფილებამ გახსნა 12 სასურსათო დუქანი, ერთი სარძევო-გასტრონომიული, 3 სამანუფაქტურო და 4 სანაზიარო დუქანი, გახსნა აგრეთვე შეშისა და თივის საწყობები. სასურსათო დუქნებიდან საერთო მოგება ასეთია: თებერვალში 119,000 მან. მარტში—338,000 მან. აპრილში—380,000 მან. გაცემულია საერთოთ 24 მილიონი მანეთის საქონელი. ამ რიცხვში მცხოვრებლებზე—13 მილიონი მან., ქალაქის მოსამსახურეებზე 2 მილიონი მან., კერძო და სახელმწიფო დაწესებულებების მუშებსა და მოსამსახურეებზე 6.200,000 მ., ქალაქის და საზოგადოების დაწესებულებებზე 2.800,000 მან.

— **ქალაქის სანიტარული მდგომარეობა.** ქალაქის თვითმმართველობის მედიკო-სანიტარული ბიუროს ინსპექტორი აღნიშნავს, რომ ქალაქი და უფრო კი მისი განაპირა უბნები ცუდ სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიანო. ამიტომ ქალაქის თვითმმართველობამ გადასწყვიტა მიიღოს საჭირო ზომები ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— **თფილისი ივნ. 11 გენერალური შტაბის საიხედრო ცნობა.** ცხინვალის მიმართულებით, ზორტის ყელის რაიონში და გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა. სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

## მისალმებანი

მივესალმები გაზეთ „კომუნისტს". ეს არის ჩვენი ინტერესების დამცველი და ჩვენც იდეურათ და მატერიალურათ უნდა დავეხმაროთ მას.

ყოველი ჩვენგანი ვალდებულია წაიკითხოს „კომუნისტი" და დარწმუნდება, რომ ეს გაზეთი თბილისის პროლეტარიატს იმ გზას აჩვენებს, რომელსაც მოითხოვს მისი საარსებო ინტერესები.

**ი. სადრაძე.**

—

ამხანაგებო! ველირსეთ იმ დღეს, რომ ვკითხულობთ საქართველოში ჩვენ ლეგალურ გაზეთს, ამას ველოდით ორი წელიწადია. ჩვენ გვწამს, რომ „კომუნისტი" ერთად ერთი დამცველია მშრომელი ხალხის ინტერესების.

**მშრომელი სურენა.**

—

სალამი და გამარჯვება „კომუნისტს", სალამი წამებულ ამხანაგებს! სალამი ტყვეობიდან განთავისუფლებულ მეგობრებს! სალამი თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს.

**ვ. თიანელი.**

—

ს. კურზუ, სენაკის მაზრა. სალამი მუშათა კლასის მისწრაფების გამომხატველ და მის ინტერესების დამცველ გაზეთს „კომუნისტს", სალამი მის დაუღალავ მესვეურთ, ვუსურვებთ მათ წინსვლას თავისი იდეალის განსახორციელებლად.

**კურზუელი კომუნისტი.**

—

სოფ. გოდოგანი, სენაკის მაზრა. გულწრფელი სალამი მშრომელი ხალხის გაზეთ „ბრძოლის" ნაცვალ ორგანოს „კომუნისტს", სალამი ორგანოს დაუღალავ ხელმძღვანელებს.

**პ. ჩარგაზია.**

## მუშათა ცხოვრება

**თფილისის შრომის ბირჟა.**

შრომის ბირჟის გამგემ შემდეგი ცნობები გადმოგვცა.

რესპუბლიკაში არავითარი კანონი შრომის ბირჟების შესახებ არ არსებობს, გარდა 1918 წ. 14 დეკემბრის ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტისა, სადაც ნათქვამია, რომ ადგილზე მიღება მუშისა და მოსამსახურისა სწარმოებს შრომის ბირჟისა და პროფეს. კავშირის საშუალებით. შრომის ბირჟას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ დამქირავებლები და შრომის მიმწოდებლებიც კი, მაგრამ ეს ერთი თვეა **პარიტეტულ** კომიტეტის მუშათა სექციამ გადასწყვიტა მოუღოს ბოლო ამ მოვლენას და შეუთანხმდა შრომის სამინისტროს, რათა მან შეუწყოს ხელი ქალაქის შრომის ბირჟას, რომ შრომის მიწოდება და მოთხოვნა სწარმოებდეს შრომის ბირჟის საშუალებით. ამას შედეგათ მოყვა ის, რომ აგერ ორი კვირაა, რაც შრომის ბირჟის განცხადებისთანავე შრომის კომისარი კანონის 29 მუხლის ძალით (ძველი „წესდება სამრეწველო შრომის") პასუხისგებაში მიცემით ემუქრება მათ, ვინც მუშებს სამუშაოზე აყენებს შრომის ბირჟის გარეშე. აი მაგალითები: ფირმა „ლევმა" ჩვენდა მოუმართავათ დააყენა ადგილზე 18 მუშა. ჩვენ ვაცნობეთ ეს შემთხვევა შრომის კომისარს და მისი განკარგულებით მიღებული მუშები ჩამოხსნეს და შრომის ბირჟამ კი უმუშევართა სიიდან მიაწოდა ქარხანას რიგში მყოფი კანდიდატები. და ამგვარი კიდევ რამდენიმე შემთხვევაა.

თვალსაჩინოთ გაიზარდა, ამ უკანასკნელ ხანებში, მიწის, სამეურნეო, შეშის დასამზადებელი და სხვა ამგვარი სამუშაოზე მოთხოვნილება. ამავე პროპორციით იზრდება უმუშევართა ჩაწერა. ამის გამო პროცენტი ადგილზე მიღებულთა არ იზრდება, მაგრამ გასულ დროსთან შედარებით იმატა.

უმუშევრები უარს აცხადებენ სამუშაოზე, მოუხედავათ შესაფერი პირობებისა. მაგალითათ ყარაიაზში, 2000 მ. ჯამაგირზე და დამქირავებლის სრულ ხარჯზე წასვლაზე უარს აცხადებენ. მიწის მუშაობაზე დღეში 150 მან. იაფ სურსათის მოწოდებით, არ თანხმდებიან. სიგნახის ერობა კუბიური საჟენი შეშის დამზადებისთვის იხდის 800 მ., ე. ი. 250 დღეში, წასვლაზე თანახმა ვერ გვიპოვია. თბილისის სამაზრო ერობამ ვერ იპოვა მუშები შეშის დასამზადებლათ იმის მიუხედავათ, რომ შრომის ბირჟაზე მრავლად მოიპოვება უმუშევრები. რა ელემენტისაგან შესდგება სამუშაოზე უარის გამცხადებელნი? პროფესიონალური კავშირების წევრები ყველაზე ნაკლებ აცხადებენ უარს. მშრომელი ინტელიგენცია და ქალები შეუფერებელნი არიან ამ სამუშაოსთვის. კვალიფიციონური და შავი მუშები, რომელნიც არ არიან პროფ. კავშირებში შეკავშირებულნი—აი უფრო ესენი უარს ამბობენ სამუშაოზე.

უმეტეს შემთხვევაში უარს ამბობენ არა საპატიო მიზეზების გამო, მაგალითად, 1) არ სურთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, 2) გრძელი სამუშაო დღე, 3) შეუფერებელი სამუშაო ხელფასი. უმრავლესობა პროფესიონალურათ შეუკავშირებელ მუშებისა უარზე არიან „Разгильдяйство" რომ იტყვიან რუსები. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება შრომის ბირჟამაც, პროფ. კავშირებმაც და სხვა მუშათა დაწესებულებებმა.

შრომის ბირჟამ მიიღო ზომები, რათა დაეხმაროს სუყველა მსურველებს მუშაობის გამოძებნით, ვისაც კი სურვილი აქვს და სამუშაო ვერ უშოვნია.

ბირჟას აქვს უმუშავართა ფონდი 80.000 მანეთი, შემოწირულება პროფესიონალურ კავშირების და სხვა დაწესებულებების. კომიტეტმა გადასწყვიტა ზაფხულის განმავლობაში მოაწყოს სეირნობა, ლექციები და, როდესაც 500.000 მან. შეიკრიბება, მხოლოდ მაშინ მოახმაროს სათანადოთ უმუშევართა ფონდი. ჯერ კი არსებობს უმუშევართათვის საკინძავი სახელოსნო, კოლოფების, ბლანკნოტების, კონვერტების სახელოსნო და გვაქვს მიზანი კიდევ მთელი რიგი სახელოსნოების მოწყობა უმუშევართათვის.

**ნემსით მომუშავეთა პროფესიონალური კავშირი.**

შარშან ნოემბერში შედგენილი კოლექტიური ხელშეკრულება ჯერაც ხელმოუწერელია დამქირავლების მიერ. ახლა, რაკი ვერც ერთმა „შესათანხმებელმა", დაწესებულებამ ვერ მოახერხა კომპრომისებზე დათანხმება, გამგეობამ გადასწყვიტა მიმართოს გაფიცვას. ის კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც შეიმუშავა ჩვენმა გამგეობამ, შეიცავს მეტად მინიმალურ მოთხოვნილებებს და დაყრდნობილია რესპუბლიკაში არსებულ კანონებზე. და თუ ამაზეც უარს გვეუბნებიან ჩვენი „ხაზაინები," ეს იმას ამტკიცებს რომ ჩვენ თვით უნდა ვიზრუნოთ ჩვენს თავზე და ვაჩვენოთ ექსპლოატატორებს ჩვენი სიძლიერე.

მუშა მ—ოვი

## პატარა ფელეტონი

**„ბოლშევიკების საქმიანობა".**

ნათქვამია: „მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ—მიჩვეულს ნუ მოაკლებო".

საქმიანობას მიჩვეულნი განსაკუთრებულ რაზმის თანამშრომელნი ცუდად გრძნობდენ თავს.

აუცილებელი იყო რაიმე საშუალების გამოგონება. დაფაცურდენ და... მთელი შეთქმულობა აღმოაჩინეს!

ჯერ სად. ნატანებში მთელი 15 გირვანქა პროკლამაციები! ნამდვილი პროკლამაციები, ცხელ-ცხელი, ჯერ კიდევ დაუჭრელი და წაუკითხავი.

სიხარულით ფეხზე აღარ იდგენ.

აფრინეს კაცი დირექტივებისათვის.

პასუხის მიღების შემდეგ ერთი რაზმი ჯანელიძის ხელმძღვანელობით გაემართა იმ სტამბისკენ, სადაც იბეჭდება გაზ. „კომუნისტი".

აქ არამც თუ კვალი, თვით დამნაშავენიც კი აღმოაჩინეს!

აქ იყო თვით ფილიპე მახარაძე,—ჩვეულებრივ ევროპიულ ტანისამოსში. (ეფისკოპოზის ანაფორა ლეგალიზაციის შემდეგ გაუხდია).

აქ იყო რაჟდენ კალაძე, რომელსაც კიდევ არ უყვია ვარი ტერორისტული აქტების მოხდენაზე და რომელმაც განსაკუთრებულ რაზმის წევრების გამოცხადების დროს მოხერხებულათ მოასწრო ერთი ბომბის მიმალვა, რომელიც შემთხვევით ჩარჩენოდა ჯიბეში ბარათოვის აფეთქების შემდეგ.

---

მილოდინში ვიყავით, ესენი არა თუ ვერ ბედავდენ სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ სიტყვის დაძრას, არამედ თავის რეზოლიუციებში იცავდენ მას. გაიხსენეთ შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესსი 1909 წელს, ასეთივე კონგრესსი ბაზელში 1912 წელს, სადაც ღლევანდელი სოციალ-დემოკრატები დიდ უმრავლესობას შეადგენდენ, ერთხმათ ადასტურებდენ იმ აზრს, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებას, როგორც ცალკე სახელმწიფოების საზღვრებში, ისე საერთაშორისო ფარგალში, აუცილებლათ მივყევართ მსოფლიო კატასტროფისაკენ, მსოფლიო იმპერიალისტურ ომისაკენ, და თუ ვინიცობაა ამ ომმა იფეთქა, იმ შემთხვევაში საერთაშორისო პროლეტარიატმა თავისი ნაციონალური ორგანიზაციების საშუალებით უნდა იმეცადინოს და ყოველივე საშუალება იხმაროს, რათა კაპიტალისტების იმპერიალისტურ ომს მუშათა კლასმა სოციალისტური ომით გასცეს პასუხი. მაგრამ სინამდვილემ გამოაშკარავა, რომ ეს იყო მხოლოთ სიტყვები, ნამდვილათ კი მეორე ინტერნაციონალის დიდი უმრავლესობა კაუცკის, ვანდერველდეს, გედის, პლეხანოვის, კერენსკი-ყარდის მეთაურობით მუშათა კლასის მოღალატეებისაგან შესდგებოდა, ვინაიდან როცა იმპერიალისტებმა კაცობრიობას 1914 წელს საშინელი და უმაგალითო ომი დაატეხეს თავზე, მეორე ინტერნაციონალის არსებობა ფიქციად გამოჩნდა, მუშათა კლასის მეთაურებიდიდი უმრავლესობა მისი მოღალატეები აღმოჩნდენ, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ გალაშქრების მაგიერ, იმპერიალისტური ომისთვის სამოქალაქო ომის გამოცხადების ნაცვლათ, შეიდემან-ვანდერველდე-ტომა-პლეხანოვები თავიანთ ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ მთავრობებს დაუკავშირდენ და მუშების და გლეხების ურთიერთ ჟლეტას და ამოწყვეტას მსოფლიო მძარცველების მიერ ხელი შეუწყვეს.

(დასასრული იქნება)

**ფ. მ—ძე.**

აქვე იყო მალაქია ტოროშელიძე, ცნობილი ყაჩაღი და საქართველოს რესპუბლიკაში კოოპერატიული მაღაზიების თავზე დამსხმელთა რაზმის ხელმძღვანელი.

აღმოჩნდნენ აგრეთვე ქუთაისიდან გამოქცეული თენგიზ ჟღენტი, არალეგალური სტამბების მომწყობნი,—ჯერ კიდევ ძველ დროში,—ვანო ბოლქვაძე და სილ. თოდრია; პროკლამაციის კორექტორი და გამავრცელებელი სევასტი თალაკვაძე და ხერაპიონ ლომიძე.

აქვე აღმოჩდენ რამდენიმე საეჭვო პირები, რომლის ვინაობის გამორკვევას საგანგებო რაზმის წევრები უკვე შეუდგნენ.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკების მთელი არალეგალური აპარატი აქ აღმოჩნდა. გაზეთი კომუნისტი კი მხოლოთ ნიღაბი ყოფილა, რომლის ქვეშ კომუნისტები აწყობენ საშინელ და თავზარ-დამცემ საქმეებს.

მართალია, ზემოხსენებული ფურცელი არ აღმოჩნდა აქ დაბეჭდილი, რაც გამოირკვა ასოების შემოწმებით, ისიც მართალია, რომ „კომუნისტის" სტამბაში არ „ბნელა", როგორც ამას გაზ. „ერთობა" ამტკიცებს, მაგრამ მთავრობა მაინც შეუდგა საქმის გამორკვევას.

ვნახოთ!

ს. თ—ია.

## ლითონზე მომუშავეთა შეერთებულ კავშირში

კვირას 6 ივნისს შესდგა საზოგადო კრება, დაესწრო 244 წევრი.

მოსმენილ იქნა მოხსენება კომისიის, რომელიც იყო არჩეული 30 მაისს საზოგადო კრებაზე, და რომელსაც მინდობილი ჰქონდა მიეღო ყოველივე საშუალება განხეთქილი კავშირების შესაერთებლად. კომისიამ მიიღო ყოველი ზომები, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან, ხელის შეწყობის მაგიერ, სეკრეტარიატის მხრით ახალი ბრალდებები იქნა წამოყენებული ჩვენს წინააღმდეგ. კითხვა ყოველ მხრივ იქნა განხილული კრების მიერ და შესაფერი რეზოლიუციაც გამოიტანა, რომელიც ქვემოთ მოგვყავს; არ შეიძლება ამ განხეთქილებას მუშებმა გვერდი აუხვიონ, აქ საჭირო არის გამორკვეულ იქნას მიზეზები და მიზნები განხეთქილებისა, საჭირო არის განსაკუთრებით იმ მუშებისთვის, რომელნიც ძალით იქნენ გამოგლეჯილი შეერთებულ კავშირიდგან და მიუხედავად ჩვენი ცდისა, როგორმე მოგვეწვია ისინი საზოგადო კრებაზე მოსალაპარაკებლად, არ მიეცათ საშუალება განახლებული კავშირის გამგეობის მიერ დასწრებოდნენ ჩვენს კრებებს. პირველ თვეებში 17 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ აღიძრა კითხვა მ. ქ. საბჭოში ერთგვარი კავშირების შეერთების შესახებ, მაგრამ შეერთება არ მოხდა მაშინ, არ მოხდა მიტომ, რომ ახლად დარაზმულ კავშირებს და მასთან ერთად მის ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ ნათლად წარმოდგენილი მძლავრი პროლეტარული კავშირების როლი თანამედროვე მომენტში და მათი მნიშვნელობა ბრძოლის დროს, როგორც ეკონომიურს აგრეთვე უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

სწორედ ამ მიზეზებით აიხსნება მაშინდელი არშეერთება ერთგვარ კავშირებისა. 1919 წლის ნახევარში კითხვა შეერთების შესახებ კვლავ აღიძრა კავშირთა საბჭოში. რამდენჯერმე მოწვეულ იქნა ამ კითხვის გასარჩევათ კრება და მიღებულ იყო დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ კავშირები შეერთებას.

პირველი ნაბიჯი ამ მხრით იქნა გადადგმული მეტალისტების, შოფერების და ელექტრიკების მიერ. მოწვეულ იქნა რამდენჯერმე შეერთებულ გამგეობების კრება ზემო აღნიშნულ კავშირებისა, რომელმაც გამოიმუშავა გეგმა შეერთებისა, ინსტრუქცია შემდეგი მუშაობისა და სხვა მრავალი კითხვები. როდესაც შესრულებულ იქნა ყველა წინასწარი სამუშევარი შეერთების შესახებ, მოწვეულ იქნა 23 ნოემბერში საზოგადო კრება ყველა აღნიშნული კავშირებისა, რომელმაც მოხსენების შემდეგ ერთ ხმათ მიიღო წინადადება შეერთების შესახებ და აირჩია ახალი შეერთებული კავშირის გამგეობა. აქ ველარ ნახავდით ვერც ერთ ამხანაგს, რომელიც წინააღმდეგი ყოფილიყო შეერთებისა, პირიქით ყველა სიხარულით შეხვდა ამ დაწყებულ საქმეს

როგორც ხედავთ ზემო აღნიშნულ ფაქტებიდგან საქმე ღირსეულად იყო მოწყობილი და მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კავშირს მკვიდრი საფუძველი ეყრებოდა.

მაგრამ სულ მოულოდნელად 26 ნოემბერს დატყვევებულ იქმნა გამგეობის თავმჯდომარე (წინა დღით არჩეული). ყოველივე ზომები, ყოველივე შუამდგომლობა მისი გასანთავისუფლებლად კავშირის მიერ უნაყოფო გამოდგა. რამდენიმე თვის შემდეგ კავშირის გამგეობის წინააღმდეგ დაწყებულ იქმნა აშკარა დემაგოგიური აგიტაცია, როგორც რამოდენიმე კავშირის წევრების მიერ, აგრეთვე სეკრეტარიატის მიერაც. მერე რას უყენებდენ ბრალად? არა ერთხელ და ორხელ დაწერილა გაზეთ „ბორბის" გვერდებზე ეს ბრალდებანი.

გამგეობა არავითარ კუტლურულ მუშაობას არ აწარმოებს მუშებშიო, კასაში აღმოაჩნდათ ყალბი ფულები—ბოლშევიკური ფულები. არავინ იცის, ფული რაზედ დაიხარჯებაო, და ყველა ეს ფაქტები საკმარისია იმისათვის, რომ გადაყენებული იქმნეს გამგეობაო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხაზინადრად მენშევიკი გყავდა, და, თუ სად იხარჯებოდა ფულები, შეეძლოთ ეკითხათ მისთვის. რაც შეეხება ყალბ ფულებს, იგი არის სულ ხუთი ან ექვსი ხუთ-თუმნიანი, რომელნიც აღმოჩნდა მიღებული გამართულ ელექტრიკების მიერ, საღამოს შემდეგ საზაფხულო მუშათა კლუბში, რომელმაც მოგვცა წმინდა შემოსავალი უმუშევართათვის ცამეტი ათასი მანეთი. ბოლშევიკური ფულების არსებობას სალაროში ტყუილად გაუჯავრებია მენშევიკები და გამგეობის საწინააღმდეგო მასალათ სულ უვარგისი გამოდგა, რადგან ეგ ფული შემოტანილია შოფერების კავშირის მიერ კავშირების შეერთების დროს; კავკავში საბჭოთა მთავრობის არსებობის დროს, როდესაც შოფერებს კავკავიდან მგზავრები მოჰყავდათ, საბჭოების ფულს ღებულობდენ და ათი პროცენტი ამ ფულებიდან შეჰქონდა სალაროში. მიუხედ[ავად] ყველა ზემოხსენებულ ფაქტებისა, რომელნიც კარგად იცოდა სეკრეტარიატმა, მათ მაინც შესძლეს და დაანიშვნინეს საზოგადო კრება, რომელზედაც მენშევიკებს ბევრი დემაგოგია დასჭირდათ ძველი გამგეობის გასაშავებლად. არჩეულ იქმნა ახალი გამგეობა და არამც თუ გაშავებულ იქმნენ კომუნისტები, გამგეობის წევრები, არამედ კრებამ გააშავა ის რამდენიმე მენშევიკი, რომელნიც შედიოდენ გამგეობაში, და მათ ადგილასაც კომუნისტები იქმნენ არჩეულნი.

როდესაც ეს დამარცხება თვალჩაჩინო შეიქნა მენშევიკებისათვის, მათ ეს არჩევნებიც უკანონოთ გამოაცხადეს და მოითხოვეს კიდევ ახალი არჩევნები.

ახლად არჩეული გამგეობა დასთანხმდა მოეწვია ახლად საზოგადო კრება, დასთანხმდა მიტომ, რომ არ უნდოდა მუშათა შორის განხეთქილება მომხდარიყო.

უკანასკნელ საზოგადო კრებაზე არჩევნებმა კვლავ კომუნისტების სასარგებლო ხასიათი მიიღო და ამისათვის ბევრს ეცადენ მოწინააღმდეგეებმა, რომ ეს კრება ჩაეშალათ. მათ ეს შესძლეს, კრება დაიშალა. მეორე მესამე დღეს დატუსაღებულ იქნენ ყველა ახალი გამგეობის წევრები. ამით დათავდა ბრძოლა გამგეობის არჩევნების გარშემო.

ამ ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგებმა სხვა ხრიკს მიმართეს, მოიწვიეს არსენალის მუშების კრება და დაარსეს ახალი კავშირი განახლებული კავშირის სახელით. რომელიც არსებობს დღესაც.

ახლა მინდა ამხანაგ მუშების ყურადღება მივაქციო განახლებულ კავშირის დაარსებას. როგორც უკვე აღვნიშნე, შეერთებულ კავშირის გამგეობის წევრები დატყვევებულნი იყვნენ, მაშ რაღათ დასჭირდათ მათ განხეთქილება? მოწინააღმდეგენი დღესაც კი გაიძახიან, რომ იქ რამდენიმე კაცი იყო და იგენი „ურევდნენ საქმესო." მაგრამ იგენი ხომ ციხეში იყვნენ. მაშასადამე, გამოყოფა რად ლასჭირდათ? ან იქნებ კიდევ დარჩენ კავშირში ისეთი პირები, რომელნიც, მათის აზრით, „საქმეს აურევდნენ." თუ ეს ასეა, მე მგონი, რომ ძალიან ძნელი არ იყო კიდევ რამოდენიმე კაცის სრულიად მოშორება და კავშირი ისევ მთლიანი, დარჩებოდა, როგორც უწინ.

მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზი იყო. მოწინააღმდეგეებს სურდათ, რათაც უნდა დასჯდომოდათ, მოეხერხებიათ იმ კავშირის სახელით გამოსვლა.

მუშა ოკინ.

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„კომუნისტი", როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „კომუნისტის" რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყნენ შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწევება.

ცენტრალური კომიტეტი.

## სომხეთის აჯანყებული მუშების და გლეხების წამების ამბები

(მიმდინარე წლის მაისის თვეში)

ერევნის გორკომის მიერ შეკრებილი ცნობებით მაისის თვეში სომხეთში მუშათა და გლეხთა აჯანყების გამო ბურჟუაზიამ კომუნისტები ასობით დახვრიტა, ათასგვარი სიმხეცე, ძალმომრეობა ჩაიდინა და სომხეთის აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს საშუალო საუკუნოებრივი წამება მიაყენა, რითაც მან სომხეთის რევოლიუცია სისხლში ჩაახრჩო.

სომხეთის დაშნაკური მთავრობა ისე მოეპყრა კომუნისტებს, რის მსგავსს მხოლოთ პარიზის 71 წლის კომუნის ისტორიაში თუ ვიპოვით. აი ამისი ფაქტებიც.

ა) 7 მაისს დილის 6 საათზე სტამბა „კულტურაში", სადაც გლეხთა კავშირის ორგანო, გაზეთი „გეუგაცუდზაინი" იბეჭდებოდა, დაშნაკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორი აგენტი შევიდა და წინადადება მისცა მუშებს აწყობილი გაზეთის შრიფტი დაეშალათ, ამასთან გლეხთა კავშირის ორგანო დახურულათ გამოაცხადა.

ამაზე პროტესტის გამოცხადების (რედაქციის და სტამბის მოსამსახურეთა მხრით—ამხ. ჩილოხიანი) საპასუხოთ დაშნაკური პარტიის აგენტები დატუსაღებით დაემუქრენ მათ და მუქარა ორი საათის შემდეგ კიდეც მოიყვანეს სისრულეში.

მათი დატუსაღების ორდერი დაშნაკების ცენტ. კომიტეტისგან მისმა წარმომადგენელმა შირაქიანმა მოიტანა სტამბაში და თან დასძინა, რომ მისი პარტია „სამშობლოსთვის" ამ საბედისწერო მომენტში ვალდებულია მთავრობის ფუნქციები შეასრულოს და მართლმსაჯულების როლი იკისროსო.

ბ) ამავე დღეს დაუწყეს დევნა კომუნისტურ მუშათა ორგანიზაციებს, პირველ დღესვე (17 მაისს) დაატუსაღეს 20-მდე ამხანაგი, ატუსაღებდენ უორდეროთ.

ამ დღეებში ყოველი დაშნაკი (განსაკუთრებით ვანელი სპეკულიანტები), თვლიდენ რა თავს კანონის წარმომადგენლებათ და მართლმსაჯულებათ, ან თვითონვე ატუსაღებდენ კომუნისტებს, ან და ჯაშუშობას ეწეოდენ. დატყვევებულ ამხანაგებს მეტათ უდიერათ ეპყრობოდა ადმინისტრაცია: პირველი ორი დღის განმავლობაში ტუსაღებისთვის პურიც არ მიუწოდებიათ და ერთი ტუსაღთაგანის მოთხოვნაზე, რომ მისცენ მას და მის ამხანაგებს საჭმელი რამ, მილიციამ ცინიკურათ უპასუხა: რათ გინდათ თქვენ პური, სჭამეთ თქვენი იდეები და იმით გაძეხით. ზოგჯერ ფიზიკურათაც შეურაცხყოფდენ ამხანაგებს. (მაგალითათ სცემეს ამხ. აზიზიანს).

### აჯანყების შემდეგ.

1. მთავრობის ჯარების მიერ ალექსანდროპოლის აღების პირველ დღესვე კომუნისტებზე შურის ძიების საქმეს შეუდგნენ... მთავრობის პარტიის გამხეცებული აგენტები თავით-ფეხამდე შეიარაღებული, სპეკულიანტები, სოფლის კულაკები და დაშნაკელთა სხვა ათასნაყარი სპეკულიაციის საშვალებით, რაც ისე სჩვევიათ წვრილ ბურჟუაზიულ ჯგუფებს, ქალაქში შევიდენ. ალექსანდროპოლის მუშებმა დაიჯერეს სულმდაბალი აღთქმა-დაპირებები და მათი სიცრუით მოხიბლულნი შეცდომაში შევიდენ. გვიან ლა იყო. როცა ისინი გონს მოვიდენ, მაშინ უკვე ალექსანდროპოლის ქუჩებში მტრის ცხენოსანთა რაზმი ჰენებით დაჰქროდა და ველური ჟივილხივილით კომუნისტების ძალა უფლების დაცემას, ხოლო ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების გამარჯვებას მცხოვრებთ ახარებდენ. სისხლს მოითხოვდა ბურჟუაზია, და კომუნისტებისა და მუშების სისხლი უხვათ სდიოდა ალექსანდროპოლის ქუჩებში. ახალგაზრდა კომუნისტებს გაუსამართლებლათ ხვრეტდენ ქუჩებში, ხოლო მეთაურებს დაცინოდენ ისინი, რომლებიც რამდენიმე დღეს ძალა-უფლებას და ბატონობას სრულიათ მოკლებულნი იყვნენ. სულ 50—100-მდე ამხ. დახვრიტეს, ასამდე კიდევ დაატუსაღეს. მუშათა ორგანიზაციები სულ ერთიანათ მოანგრიეს, რკინის გზის სადგურებზე და მთელ ლიანდაგზე იჭერდენ ტელეგრაფის მოხელეებს, მემანქანეებს და სხვა რკინისგზელ მუშებს.

2) ყარსშიაც ასეთივე მხეცობა ხდებოდა, როგორც ალექსანდროპოლში. ის კომუნისტები, რომლებმაც სამხედრო რევკომის სახელით ჯერ ისევ 10 მაისს წინადადებით მიმართეს სამოქალაქო მთავრობას, რომ საბჭოთა მთავრობა ეცნოთ და თავიანთი ფუნქციები კვლავ განეგრძოთ, მასთან ყველა საქალაქო მოხელეებს მეტათ სათანადოთ და პატიოსნათ ეპყრობოდენ, ყარსში მთავრობის ჯარების შესვლის შემდეგ, ცხეებით და ტყვიებით უხვათ დააჯილდოვეს. დახვრიტეს 15-მდე ამხ., დაატუსაღეს 20—30-მდე, (სხვათა შორის ყარსში დახვრიტეს ამხ. გუკასი).

3) სარაყამიშიდან ცნობები ვერ მივიღეთ.

4) ბაიაზეთში მომხდარი ამბები. მეტათ თავდაჭერილათ ეპყრობოდენ მთავრობის მოხელეებს კომუნისტები, როცა მათ აქ ძალა-უფლება ხელთ ჩაიგდეს, ასევე ეპყრობოდენ სამხედრო პირებსაც კი; მაგალ. გენერალი სილიკოვი მხოლოთ შინ დაატუსაღეს, და თვითონვე აღიარებდა, რომ მას მეტათ პატიოსნათ ეპყრობოდენ.

მაგრამ ასევე არ მოექცენ კომუნისტებს მისი სისხლის მსმელები: ხიბაპეტები, მაუზერისტები და სხვა ასეთი შავი გუნდები დაშნაკელთა აპარატისა. მთავრობის ჯარების აქ შემოსვლის შემდეგ 40-ოდე მხედარმა მთავრობის ჯარის ნაწილიდან ტანთ გახადა ამხ. სარუხანიანს და მხეცურათ აწამა იგი, რის შემდეგ მათრახების ცემით წინ გაიგდო ის ბაიაზეთის ქუჩებზე. ასე აწამეს იგი მთელი დღის განმავლობაში. როცა ბაიაზეთიდან ჩამოსული ამხანაგების ნაამბობს ვისმენდით, საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის ამბები გვაგონდებოდა. ამხ. გვიამბობს, თუ მთელი დღის წამების შემდეგ, როგორ მიჰყავდით ურმით სასაფლაოზე ნაგვემ-ნაწამები ამხ. სარუხანიანი. „ძნელი სათქმელია, მკვდარი იყო ის თუ ცოცხალი", ასე დაათავა თავისი მოთხრობა ამხ. სარუხანიანის წამებაზე ბაიაზეთიდან მოსულმა ამხანაგმა. ბაიაზეთის ბოლშევიკური მოძრაობის ის ცნობილი მეთაური სამხედრო საველე სასამართლოს განაჩენით იქვე დახვრიტეს. დაატყვევეს მრავალი ამხანაგი (მათ შორის ტელეგრაფისტებიც).

5) დილიჟანი. როგორც დილიჟანიდან გვაუწყეს, დილიჟანში მხეცურათ დახვრეტილ იქნა ამხ. აკოპჯანიანი და მკრტუმიანი და სასიკვდილოთ სცემეს ამხ. იშხანიანს.

6) ყაგიზმანში აჯანყება მთავრობის ადგილობრივმა ძალებმა ჩაახშო, იქედან ცნობები არ მიგვილია.

7) იგდირსა, კაპარლუს, აშტარაკსა და სხვა რაიონებში აურეველი ხალხი დაატუსაღეს, რომლებიც ერევნის ციხეში გადაგზავნეს.

### ამხ. მელკონიანის დახვრეტა.

ალექსანდროპოლიდან გამოქცეულმა ამხ. მელკონიანმა აშტარაკის რაიონს შეაფარა თავი; მალე მიაგნეს მის კვალს, შეიპყრეს და ეჩმიაძინის ციხეში გადაგზავნეს, იქიდან ვითომ ერევნის ციხეში მოინდომეს მისი გადაყვანა, გზაში ის ერთ ალაგას შეაჩერეს და ერთბაშათ თოფები დაახალეს, იქვე დახვრიტეს. ამხანაგები გადმოგვცემენ, რომ ამას შორიდან უთვალთვალებდენ სომხეთის პარლამენტის ორი წევრი (ერთი მათგანი იყო ბ-ნი გაზარიანი), რომლებიც თავისი მოწინააღმდეგე ადამიანის სისხლით ტკბებოდენ. დახვრეტილი ამხ. გვამი ამხანაგებმა ქალაქის ამბულატორიაში სულ ერთიანათ დასახიჩრებული ნახეს.

ერევნის ციხეში 60 კაცი ზის (მათ შორის მომეტებული წილი ახალგაზრდობაა: გიმნაზიელი ვაჟები და ქალები), 20 ამხ. სევანში გადაასახლეს.

### უკანასკნელი ზომა.

იმ მიზნით, რომ სახელმწიფო დაწესებულებები გაწმენდილ იქნას კომუნისტებისაგან, სომხ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა სამინისტროებს შემდეგი ცირკულიარი დაგზავნა.

საჩქარო, ცირკულიარულათ.

„გთხოვთ დაუყონებლივ წარმოგვიდგინოთ სამინისტროში და სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულების სამსახურე პირთა სია და მათ-მათი ნადვილი მისამართი; აგრეთვე აღნიშნეთ თუ რომელ პარტიას ეკუთვნის თვითეული მათგანი. სია წარმოდგენილი უნდა იქნას ამ სამ დღეში".

ეს უკანასკნელი ცირკულიარი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ზომებს მიმართავს დაშნაკური მთავრობა კომუნისტების აღმოსაფხვრელათ.

## კორესპონდენციები

**სოფელი საგურამო** (დუშეთის მაზრა).

ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ცეცხლი ცვა-გლეჯა და კაცის კვლა. ჩვენდა უბედუროთ ბევრ ადგილას მცარცველები ჩვენი პარტიის სახელით გამოდიან, რაც ნდობას უკარგავს ჩვენ პარტიას. მაგრამ უნდა იცოდენ დემაგოგებმა, რომ მუშები და გლეხურ პარტიას მუშებს ვერ შეაძულებენ და მათი ჭირები ამაოთ ჩაივლის, ... ზაკების შესახებ კი ვიტყოდით, რომ „კატა წყალს მუდამ ვერ ხედავს" და ხალხი მისი პარტიაც, მშრომელი ხალხის ცამოყვავს არ აპატიებს მათ.

7 მაისს ზედაზნის მონასტერში მლოცველებს თავს დაესხა შეიარაღებული მძარცველები, ხალხს წაართვეს ფული, ტანსაცმელი და ვერცხლის ჯვრები. ამასვე ნავე თავის თავს ეს ვაჟბატონები, როგორც ამბობენ, ბოლშევიკებს ეძახოდენ.

2 თიბათვეს სოფელ კოტორაანთკარის მეველემ სოსიკო ქავთარაძემ დაიჭირა ნაში სოფელ ნავდარაანთ კარის ნახირი და საქონლის პატრონებს მოსთხოვა სულ 5 მანეთის გადახდა, თანახმად სოფლის დადგენილებისა. ზოგმა გადიხადა ეს ფული და წაასხა საქონელი, ორმა მემძროხემ არ გადიხადეს და დაემუქრენ მეველეს, იმავე ღამეს გარეთ მძინარეს მეველე სოსიკო ქავთარაძეს თავს დაესხა ორი-შეიარაღებული კაცი და სადღაც ვინტოვკის ტყვიით სასიკვდილოთ დასჭრეს იგი და მიიმალენ. მეველე მალე გარდაიცვალა. მკვლელი ნამდვილათ იცის ხალხმა და ადმინისტრაციამაც, მაგრამ იგი ეხლაც თავისუფლათ დადის თოფით მხარზედ და სხვას ვილაცებს იჭერენ.

სოფლელი.

## პროვინციელი ამხანაგების საყურადღებოდ!

კანტორა სთხოვს იმ ამხანაგებს, რომლებიც ღებულობენ გაზეთ „კომუნისტს" გასავრცელებლათ—სწედრი ფული მოგვიგზავნონ თანდათანობით.

დიდი ვანქის ქ. № 3. სტამბა ყ.ფ. „ეკონომია"